

# ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №3 2020 წლის 25 თებერვალი

### ქ. ყვარელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №29 დადგენილებაში „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №29 დადგენილებაში „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 30/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.164.016369) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართის 1-27 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

#### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ქევიციანი

დანართი

„თავი I. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები“

#### მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>11 488.4</b>	<b>14712.8</b>	<b>8488.0</b>	<b>6 224,8</b>	<b>14 211,5</b>	<b>9 565.3</b>	<b>4 646,2</b>
გადასახადები	3 604.2	7896.3	7896.3	-	8 920.3	8 920.3	-
გრანტები	7 308.8	6 359.8	135.0	6.224.8	4 806,2	160,0	4 646,2
სხვა შემოსავლები	575.4	456.7	456.7	-	485,0	485,0	-
<b>II. ხარჯები</b>	<b>7 346.6</b>	<b>8099.0</b>	<b>8010.8</b>	<b>88,2</b>	<b>8 561,0</b>	<b>8 481,9</b>	<b>79,1</b>
შრომის ანაზღაურება	1 306.7	1473,2	1473,2	-	1 679.5	1 679.5	-



საქონელი და მომსახურება	1 201.1	1382.4	1294.2	88,2	1 324,2	1 245,1	79,1
პროცენტი	70,7	38,2	38,2	-	44,1	44,1	-
სუბსიდიები	4 000,2	4413.0	4413.0	-	4 848,2	4 848,2	-
სოციალური უზრუნველყოფა	617.1	582.2	582.2	-	497,0	497,0	-
სხვა ხარჯები	150,7	210.0	210.0		168,0	168,0	-
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>4.141.8</b>	<b>6613.8</b>	<b>477.2</b>	<b>6 136,6</b>	<b>5 650.5</b>	1 083.4	<b>4 567,1</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>2 538,4</b>	<b>9986.4</b>	<b>1782.9</b>	<b>8 203,5</b>	<b>8 264,7</b>	<b>1 982,2</b>	<b>6 282,5</b>
ზრდა	2 754,8	10126.4	1922.9	8 203,5	8 414,7	2 132,2	6 282,5
კლება	216.4	140,0	140,0		150,0	150,0	
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>1 603,4</b>	<b>-3 372,6</b>	<b>-1 305,7</b>	<b>- 2 066,9</b>	<b>-2 614,2</b>	<b>-898,8</b>	<b>-1 715,4</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1 603,4</b>	<b>-3 410,8</b>	<b>-1 343.9</b>	<b>- 2 066,9</b>	<b>-2 691,2</b>	<b>-975,8</b>	<b>-1 715,4</b>
ზრდა	3 404,3	-	-	-	338,7	338,7	-
ვალუტა და დეპოზიტები	3 404.3	-			338,7	338,7	
კლება	1800,9	3 410,8	1 343.9	2 066,9			-
ვალუტა და დეპოზიტები	1 800,9	3 410,8	1 343.9	- 2 066,9	3 029,9	1 314,5	1 715,4
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>		<b>-38,2</b>	<b>-38,2</b>	<b>-</b>	<b>-77,0</b>	<b>-77,0</b>	<b>-</b>
კლება		38,2	38,2	-	77,0	77,0	-
საშინაო		38,2	38,2	-	77,0	77,0	-
სესხები		38,2	38,2		77,0	77,0	
სხვა კრედიტორული დავალიანებები		-					
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>- 0,0</b>	<b>-</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>-</b>

**მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	11 704,8	14 852.8	8 628.0	6 224,8	14 361.5	9 715.3	4 646.2



შემოსავლები	11 488.4	14 712.8	8 488.0	6 224,8	14 211.5	9 565.3	4 646.2
არაფინანსური აქტივების კლება	216,4	140,0	140,0		150.0	150.0	-
<b>გადასახდელები</b>	<b>10 101.4</b>	<b>18 263.6</b>	<b>9 971.9</b>	<b>8 291,7</b>	<b>17 052.7</b>	<b>10 691,1</b>	<b>6 361.6</b>
ხარჯები	7 346,5	8 099.0	8010.8	88.2	8 561.0	8 481.9	79.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 754,8	10 126.4	1 922.9	8 203,5	8 414.7	2 132.2	6 282,5
ვალდებულებების კლება		38,2	38,2	-	77,0	77,0	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>1 603,4</b>	<b>-3 410,8</b>	<b>-1 343.9</b>	<b>-2 066,9</b>	<b>-2 691,2</b>	<b>-975,8</b>	<b>-1 715,4</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 14 211.5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	11 488,4	14 712.8	8 488.0	6 224,8	14 211.5	9 565.3	4 646.2
გადასახადები	3 604,2	7 896.3	7 896.3	-	8 920.3	8 920.3	-
გრანტები	7 308.8	6 359,8	135,0	6 224,8	4 806.2	160.0	4 646.2
სხვა შემოსავლები	575,4	456.7	456.7		485.0	485.0	

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 8,920.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	3 604,2	7 896.3	7 896.3	-	8 920.3	8 920.3	-



საშემოსავლო გადასახადი	375,7				-	-	
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	4 096,3	4 096,3		5 120,3	5 120,3	
ქონების გადასახადი	3 228,3	3 800,0	3 800,0	-	3 800,0	3 800,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 849,1	2 540,0	2 540,0		2 450,0	2 450,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-				2 450,0	2 450,0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	21,0	10,0	10,0				
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 017,8	900,0	900,0		1 000,0	1 000,0	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	340,4	350,0	350,0		350,0	350,0	

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 4 806.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>7 308,8</b>	<b>6 359,8</b>	<b>4 806.2</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	7 308,8	6 359,8	160,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	2 927,0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	135,0	135,0	160,0
კაპიტალური ტრანსფერი	4 246,8	5 564,4	
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :		660,4	4 646.2
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე			
სპეციალური ტრანსფერი		660,4	4 646.2

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 485.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>575.4</b>	<b>456.7</b>	<b>485.0</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	390.8	250,0	245.0
პროცენტები	109.0	80,0	95.0
რენტა	281.8	170,0	150.0
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>53.4</b>	<b>60,0</b>	60.0
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>34.2</b>	<b>45,0</b>	45.0
სანებართვო მოსაკრებელი	28.7	30,0	30,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5.5	15,0	15,0
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>19.2</b>	<b>15,0</b>	15.0
<b>სანქციები (ჯარიმები და საურავები)</b>	<b>129.5</b>	<b>100,0</b>	180.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		46.7	

**მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით**

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 8 561.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>7 346.6</b>	<b>8 099.0</b>	<b>8 010.8</b>	<b>88.2</b>	<b>8 561.0</b>	<b>8 481.9</b>	<b>79.1</b>
შრომის ანაზღაურება	1 306.7	1 473.2	1 473.2	-	1 679.5	1 679.5	-
საქონელი და მომსახურება	1 201.1	1 382.4	1 294.2	88.2	1 324.2	1 245.1	79.1
პროცენტები	70.7	38.2	38.2	-	44,1	44,1	-
სუბსიდიები	4 000.2	4 413.0	4 413.0	-	4 848,2	4 848,2	-
სოციალური უზრუნველყოფა	617.1	582.0	582.0	-	497,0	497,0	-
სხვა ხარჯები	150.7	210,0	210,0		168,0	168,0	-



**მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8 264.7 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა – 8 414.7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება – 150.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>23,0</b>	<b>55,6</b>	<b>55,6</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	23,0	55,6	55,6
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>2 246,0</b>	<b>7 293,7</b>	<b>5 243,2</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 392,3	3 899,3	1 145,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	-	1540,9	1 489,8
02 03	გარე განათება		3,9	1 260,1
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება			70,0
02 05	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	23,1	64,2	
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება			
02 07	კეთილმოწყობა	697,5	782,1	430,2
02 08	სარიტუალო ღონისძიებები			
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		318,2	336,3
02 10	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენა	11,0	347,5	250,0
02 11	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	122,0	337,6	261,2
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>			
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა			
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა , განვითარება			
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>441,0</b>	<b>1539,9</b>	<b>1 649,0</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13,2	6,8	107,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	427,8	827,2	722,2
04 03	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა		705,9	819,8
04 04	წმ.ილია მართლის სახელობის გიმნაზია			
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>44,9</b>	<b>944,6</b>	<b>1 252,3</b>



05 01	სპორტის სფეროს განვითარება		767,7	1 029,7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	44,9	146,8	142,6
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა			
05 04	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა		30,1	80,0
05 05	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა			
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>		<b>316,4</b>	<b>214,6</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა		316,4	214,6
06 02	სოციალური დაცვა			
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>2 754,9</b>	<b>10 126,5</b>	<b>8 414,7</b>

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	216,4	140,0	150,0
ძირითადი აქტივები	94,0		
არაწარმოებული აქტივები	122,4	140,0	150,0
მიწა	122,4	140,0	150,0

### მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
7	მთლიანი ხარჯები	10101.3	18263.8	17052.7
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1934.0	2184.6	2451.5
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1902.1	2086.6	2257.4



7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1902.1	1997.9	2207.4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	88.7	50.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	19.9	76.3	121.1
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	12.0	21.7	73.0
7.2	თავდაცვა	83.1	93.3	97.9
7.2.1	შეიარაღებული ძალები	83.1	93.3	97.9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	1402.6	4005.7	1598.7
7.4.5	ტრანსპორტი	1392.3	3899.3	1235.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1392.3	3899.3	1235.6
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	10.3	106.4	363.1
7.5	გარემოს დაცვა	205.4	1480.3	1926.6
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	0.0	522.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	310.3	193.9
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	205.4	1170.0	1210.7
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1549.9	2824.9	3232.3
7.6.1	ბინათმშენებლობა	23.1	64.2	0.0
7.6.3	წყალმომარაგება	289.5	590.9	679.2
7.6.4	გარე განათება	1099.8	1158.7	1585.3
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	137.5	1011.1	967.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	61.8	388.4	296.6
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	61.8	72.0	82.0
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	316.4	214.6
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2282.4	3418.6	3196.9
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1289.6	2094.0	1661.8





7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	931.2	1259.6	1297.1
7.8.3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	39.0	45.0	47.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	22.6	20.0	25.0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	166.0
7.9	განათლება	1864.2	3152.0	3599.1
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1810.2	2311.7	2644.2
7.9.2	ზოგადი განათლება	54.0	840.3	954.9
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	54.0	840.3	954.9
7.10	სოციალური დაცვა	717.9	716.0	653.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	102.5	91.2	80.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	615.4	624.8	573.0

### მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -2 614.2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 5 650.5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	4 141,8	6613,8	5 650.5
მთლიანი სალდო	1 603,4	-3 372,6	-2 614,2

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -2 691.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 603.4	-3 410,8	-2 691.2
ზრდა	3 403.3		338,7



ვალუტა და დეპოზიტი	3 403.3		338,7
კლება	1 800.9	3 410,8	3 029.9
ვალუტა და დეპოზიტი	1 800.9	3 410,8	3 029.9

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 77.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2019 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

## თავი II. ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

## მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6217,6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

### ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 217,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 145,6
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	1 145,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 998,7
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	679,2
02 02 01 01	ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“	578,0
02 02 01 02	წყლის სისტემების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები	101,2
02 02 03	სარწყავ - სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია	193,9
02 02 04	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა	1 125,6
02 03	გარე განათება	1 585,3
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	465,2
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოვლა	45,2
02 03 01 02	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	420,0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	1 120,1
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	90,0



02 07	კეთილმოწყობა	430,2
02 07 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	430,2
02 07 01 01	სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია	363,1
02 07 01 02	სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია	67,1
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	120,3
02 08 01	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	120,3
02 08 01 01	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	120,3
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	336,3
02 10	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენა	250,0
02 11	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	261,2

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		1 145,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ მთისძირში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სოფელ ახალსოფელში 2,3 და 5,6 პარალელური უბნების დამაკავშირებელი N 3 ქუჩის გზების მოასფალტება და კიუვეტების მოწყობა, სოფელ შილდის გზის რეაბილიტაცია, შორიხის ხიდის რეაბილიტაცია, სოფელ წ/სერის მოსაცდელის მოწობა, სოფელ გავაზში წისქვილის უბნის მოხრეშვა		
მოსალოდნელი შედეგი	მოქალაქეების გადაადგილება მოხდება ნაკლებ დროში შეუფერხებლად და კომფორტულად, სამაშველო სამსახურებს მიეცემათ საშუალება უფრო ოპერატიულად განახორციელონ დახმარება. მუნიციპალიტეტი მიმზიდველი გახდება ტურისტებისათვის		

პროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01 01		578,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“		
	პროგრამა ითვალისწინებს ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24-სათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სასმელი წყლის რეაბილიტაციას.		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ყვარელში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;</li> <li>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამა შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24-საათიანი გრაფიკი;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა;</li> <li>- აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად;</li> <li>- წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.</li> </ul>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 02 01 02	წყლის სისტემების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები	დაფინანსება ათას ლარში 101,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ გავაზში სასმელი წყლის 2 ჭაბურღილის და შიდა ქსელის მოწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 02 03	სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში 193,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ მთისძირში, სოფელ კუჭატანში, სოფელ ახალსოფელში, სოფელ შილდაში სანიაღვრე არხის მოწყობა, ქალაქ ყვარელში სანიაღვრე არხების მოწყობა (ზახაშვილის ქუჩაზე, ვაჟა-ფშაველას მეორე ჩიხი, არიხაურის არხი, „კაზარმის“ მრავალბინიანი სახლის მიმდებარედ, მათიკაშვილის, უორდროპების, სააკაძის ქუჩის და გურამიშვილის პირველი შესახვევის მიმდებარედ, სოფელ ენისელში „ბომბეის“ უბანში რკ.ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული სანიტარული პირობები, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შექმნა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 02 04</b>		<b>1 125,6</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	უამინდობის შემთხვევაში ან სხვადასხვა სტიქიური მოვლენის დროს მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების დამცავი ჯებირები, სარწყავი და სანიაღვრე არხები საჭიროებენ მუდმივ მოვლა-მოწესრიგებას, მუნიციპალიტეტში არსებული ტრაქტორები კამაცუ, 2 ცალი „jsb“, გრეიდერი და სატვირთო ავტომანქანა „მერსედესი“ მუდმივ მზადყოფნაში არიან პრობლემების მოსაგვარებლად, თავად ტექნიკაც საჭიროებს მოვლას, რემონტს. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ტექნიკის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებას და შესაბამისად ნაპირსამაგრი ნაგებობების და სანიაღვრე არხების უსაფრთხო მდგომარეობაში ყოფნას.		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი ნაპირსამაგრი ნაგებობები, გასუფთავებული სანიაღვრე არხები, უსაფრთხოდ მყოფი მოსახლეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>გარე განათების ქსელის მოვლა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 03 01 01</b>		<b>45,2</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“-ს განათების სერვისის ახორციელებს ქ. ყვარელში და ყვარლის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში გარე განათების ქსელების მოვლა-პატრონობას. კერძოდ, დამწვარი ნათურების, ელექტრო ავტომატების, დროის რელეების და ჩამრთველების შეცვლა და აღდგენას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ემსახურება ერთი „მერსედესის“ ტიპის სპეციალური დანიშნულების ამწე კალათა და სხვა.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების შეუფერხებელი ფუნქციონირება.		

ქვეპროგრამის	კოდი	<b>გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში
--------------	------	---	------------------------



დასახელება	02 03 01 02	420,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოწყობილობების შექმნას.	
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის სრულყოფილად ფუნქციონირება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		1 120,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გარე განათების ქსელის სრული რეაბილიტაცია ყვარელში		
მოსალოდნელი შედეგი	განათებული ქუჩები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		90,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში არსებული ტრანსპორტის ტექნიკური ზედამხედველობა, შეკეთება და მომსახურება ასევე გათვალისწინებულია გარე განათების კალათის და ნაგვის პატარა მანქანის შექმნა		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული ტექნიკა და დაკისრებული მოვალეობების დროულად და სრულყოფილად შესრულება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01 01		363,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ყვარელში 9 აპრილის სკვერის რეაბილიტაცია, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა, 60 ბინიანი საერთო საცხოვრებლის სკვერის მოწყობა, პეტრე იბერის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაზე სკვერის რეაბილიტაცია, ქალაქ ყვარელში ახალგაზრდობის სკვერის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის შექმნილი კომფორტული საცხოვრებელი გარემო

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01 02		67,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შილდის მინი სტადიონის მოწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08 01 01		120,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 19 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ქ. ყვარლის, სოფ. მთისძირის, ბალოჯიანის, ახალსოფლის, თივის, ზინობიანის, ჭიკანის, გავაზის, კუჭატანის, სანავარდოს, წიწკანანთსერის, შილდის, ენისელის, გრემის, ალმატის, საბუის და შაქრიანის სასაფლაოები. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობია 78 ჰა. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურის“ შესაბამისი სერვისი უზრუნველყოფს: - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთებას და შეღობვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცელვითი და შეწამვლითი სამუშაოების შესრულებას.		
მოსალოდნელი შედეგი	შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოების ტერიტორიები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		336,3





ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები სოფლების მოთხოვნების შესაბამისად.
მოსალოდნელი შედეგი	ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენა	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 11		261,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ზედამხედველობა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს, პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას.		
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)		

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 607,1 ათასი ლარი.





დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	607,1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	522,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	85,1
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		522,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ყვარლის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში. ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ქ. ყვარელი, მთისძირი, ბაღლოჯიანი, შოროხი, თხილისწყარო, ახალსოფელი, ჭიკანა, ჩანტლისყურე, წიწკანაანთსერი, სანავარდო, თივი, კუჭატანი, ზინობიანი, გავაზი, შილდა, საბუე, ენისელი, ალმატი, გრემი, შაქრიანი, სოფლებში. შეგროვებული ნარჩენები გადის ყვარლის ნაგავშემკრებ გადამზიდ სადგურზე ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 40 მ<sup>3</sup> ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის და მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიის დასუფთავება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		85,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამ-ქიმიკატების შეტანა.</p>		
მოსალოდნელი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ- ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება.		



შედეგი	განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეკვითი სამუშაოები.
--------	--

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 599.1 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	3 599.1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 922,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	722,2
04 03	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა	898.9
04 04	ა(ა)იპ „წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია“	56,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1 922,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 22 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1309-ზე მეტი ბავშვი. არაეთნიკური მოსახლეობისთვის გვაქვს 3 საბავშვო ბაღი, რომელშიც დარეგისტრირებულია 30 აღსაზრდელი. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 54 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბავა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p>		



	<p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება;</p> <p>ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ „ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1309-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-ს შეადგენს.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		722,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ გრემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, სოფელ წ/სერის, სოფელ სანავარდოს საბავშვო ბაღის რემონტი და სოფელ ალმატის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ასევე გათვალისწინებულია ქალაქ ყვარელში საბავშვო ბაღი „გვირილას“ ბაღის სამხრეთით ეზოს კეთილმოწყობა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი დაწესებულების შენობები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		898,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა და გამართული ინფრასტრუქტურა		

	კოდი		დაფინანსება
--	------	--	-------------



ქვეპროგრამის დასახელება		წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია	ათას ლარში
	04 04		56,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გიმნაზიასთან ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, რომელიც 30 ბავშვზეა გაათვლილი, აქვეა სრული საშუალო სკოლა, სადაც 259 ბავშვი სწავლობს, გიმნაზიასთან ფუნქციონირებს სასადილო, როლმელიც ყოველდღიურად სადილით აკმაყოფილებს გიმნაზიის ყველა ასაკის აღსაზრდელს და პედაგოგს, ჰყავს 2 საკუთარი ავტობუსი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების ტრანსპორტირებას დილით და სკოლის შემდეგ, მთელს რაიონში.		
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული ახალგაზრდების აღმოჩენა და აღზრდა.		

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 129,7 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 129,7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 594,7
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	506,0
05 01 01 01	ა(ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“	360,2
05 01 01 02	ა(ა)იპ „ყვარლის სპეციალიზირებული საფეხბურთო სკოლა“	86,4
05 01 01 03	შპს „ათლეტი“	8,0
05 01 01 04	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ყვარელი“	30,4
05 01 01 05	რაგბის კლუბი	21,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	59,0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 029,7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 070,2
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	902,6
05 02 01 01	ა(ა)იპ „ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“	178,2
05 02 01 02	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი“	197,0
05 02 01 03	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი“	527,4
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	142,6



05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	25,0
05 02 03 01	ნეკრესის ეპარქიის დაფინანსება	25,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	166,0
05 04	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	251,9
05 05	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	47,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		360,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასპორტო სკოლა აერთიანებს სპორტის 9 მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (160 ბავშვი), ძიუდო (310 ბავშვი), ქართული ჭიდაობა (510 ბავშვი), ფრენბურთი (36 ბავშვი), ხელბურთი (60 ბავშვი), კალათბურთი (18 ბავშვი). კრივი (54 ბავშვი), კარატე (32 ბავშვი) და ჭადრაკი (30 ბავშვი). სასპორტო სკოლაში სპორტის 9 სახეობაში ჩაბმულია 750 ბავშვი. სულ სკოლაში დასაქმებულია 63 ადამიანი, მათ შორის 22 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 41 მწვრთნელი, სასპორტო სკოლის აღმზრდელები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. მეტი მოზარდის ჩაბმას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისთვის. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		86,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის სპეციალიზირებული საფეხბურთო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ბავშვთა მაქსიმალური ჩაბმა სისტემატიურად სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის პროფილის შესაბამისად მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		



	03		8,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „ათლეტი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კლუბის მიზანია მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობა, ახალგაზრდობის მოზიდვა, ვარჯიშისთვის საუკეთესო პირობების შექმნა.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, წარმატებული სპორტსმენების აღმოჩენა და აღზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		30,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ფრენბურთის კლუბი „ყვარელი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კლუბის ვაჟ-ფრენბურთელთა გუნდი დაფუძნების დღიდან მონაწილეობს საქ. ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის და ერთერთ ლიდერს წარმოადგენს ქვეყანაში. გუნდი დაკომპლექტებულია კახეთის 30 საუკეთესო სპორტსმენით, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. კლუბში დასაქმებულია 4 ადამიანი, მათ შორის, 3 მწვრთნელი და ადმინისტრატორი. პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას იღებენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	ფრენბურთის კლუბი ფუნქციონირებს შეუფერხებლად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ფრენბურთის მოყვარულისთვის და ვარჯიშის მსურველისთვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		21,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს სარაგბო კლუბი „ბუდები“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	რაგბის ტურნირებში მონაწილეობას იღებს 4 ასაკობრივი ჯგუფი. ორი ასაკობრივი ჯგუფი გამოდის 4 გუნდით 8-10 წლის ასაკის ბავშვებში. სარაგბო კლუბში გაერთიანებულია 125 ბავშვი, ქალაქ ყვარლიდან, შილდიდან, ენისლიდან, გავაზიდან და ახალსოფლიდან.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობის მზარდი ინტერესი რაგბის მიმართ		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	-----------------------	------------------------





	05 01 02		59,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება, მუნიციპალიტეტში სპორტული ტურნირების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, წარმატებული სპორტსმენების აღმოჩენა და აღზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		1 029,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ გავაზში არსებული სპორტული მოედნის ტერიტორიაზე საჭიდაო მოედნების მოწყობა, სოფელ ახალსოფელში სპორტული დარბაზის მშენებლობა		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		178,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 5 სკოლა. ყვარლის, ახალსოფლის, გავაზის, ჭიკაძისა და შილდის სამუსიკო სკოლები.</p> <p>სამუსიკო სკოლებში 6 წლიან სამუსიკო განათლებას იღებენ 261 ბავშვი. სოციალურად დაუცველი მოსწავლეები გათავისუფლებული არიან სწავლის გადასახადიდან, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 100 ლარს. გაერთიანებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 61 თანამშრომელს. სამუსიკო სკოლაში ბავშვები 6 წლიან კლასიკურ მუსიკალურ განათლებას იღებენ ფორტეპიანოს მიმართულებით, ყვარლის სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს მიმართულებასთან ერთად ფუნქციონირებს ვიოლინოს კლასი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ „ყვარლის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ მიმდინარე ხარჯები 14500 ლარი.</p> <p>მუსიკალური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: ბავშვებისათვის 6 წლიანი კლასიკური მუსიკალური განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა; სამუსიკო განათლების პროგრამით დადგენილ შედეგებზე ორიენტაცია, სწავლების პროცესში განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მათი მომზადება შიდა სასკოლო თუ ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად. მოსწავლეების კლასიკური მუსიკის კარგ მსმენელად ჩამოყალიბება.</p>		
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ		



მოსალოდნელი შედეგი	შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01 02</b>		<b>197,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 2 დასასვენებელი და გასართობი პარკის ინფრასტრუქტურის გამართულად მუშაობა, დასასვენებელ პარკებში განთავსებულია სპორტული მოედნები ღონისძიებებისთვის, ამფითეატრი კულტურული ღონისძიებისათვის, პარკში ხელოვნურ წყალსაცავზე ფუნქციონირებს წყლის ველოსიპედების სერვისი, პარკის გარშემო შესაძლებელია ველოსიპედებით სეირნობა. დასასვენებელ და გასართობ პარკებში ადგილობრივი ვიზიტორების გარდა ისვენებენ ვიზიტორები საქართველოს ყველა რეგიონიდან.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დასასვენებელი პარკები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად და ერთერთ ძირითად ლოკაციებს წარმოადგენენ მოსახლეობის და ვიზიტორების დასვენება-გართობისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01 03</b>		<b>527,4</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი“		
